

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)
ინგლისური ორიგინალის თარგმანი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	6
მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	8
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	9
1. ძირითადი საქმიანობა	10
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	10
4. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება	15
5. ძირითადი საშუალებები	16
6. მარაგები	18
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	18
8. წინასწარ გადახდილი გადასახადები	19
9. ფული და ფულის ექვივალენტები	19
10. სესხები	19
11. კაპიტალი	20
12. შემოსავალი	20
13. თვითღირებულება	20
14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	20
15. ზარალი ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან	20
16. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	21
17. პირობითი ვალდებულებები	21
18. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა	21
19. დაკავშირებული მხარეები	24

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნულ ცენტრის დამფუძნებელსა და მენეჯმენტს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნულ ცენტრის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართული ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება, თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

1. კომპანიამ შეაფასა ძირითადი საშუალებები 2022 წლის 31 დეკემბრისთვის. თუმცა, ჩვენ, როგორც აუდიტორები, ვერ დავრწმუნდით შეფასებისას გამოყენებულ საფუძვლებში. ქონების შეფასების პროცესს არ გააჩნია საკმარისი და საიმედო საფუძველი, ან არსებობს არსებითი გადახრები შეფასების მეთოდოლოგიაში საყოველთაოდ მიღებული პრინციპებიდან ან დარგის ნორმებიდან. გონივრული დაშვებებისა და შეფასებების არარსებობამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსური ანგარიშგების მთლიან სამართლიანობაზე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია ქონების შეფასებასთან დაკავშირებით გამოყენებული შეფასების მეთოდებისა და მასთან დაკავშირებული გაურკვევლობების გამო. ჩვენ ასევე ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა მათი კორექტირება, ცვეთა და გასხვისების შედეგად მიღებული მოგება/(ზარალი) წლების განმავლობაში. შესაბამისად, ამ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი მნიშვნელოვანი გავლენის გამო.
2. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,471,968 მლნ ლარს, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სახის, როგორც ფულად ასევე არაფულად შენატანებს. არაფულადი ტრანზაქციები (კონტრიბუციები და გატანები) განხორციელებულია სხვადასხვა წლებში. ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი რწმუნება დოკუმენტაციის სისრულესა და ძირითადი საშუალებების ღირებულებაზე ტრანზაქციის განხორციელების დროს. რადგან ვერ განვსაზღვრეთ ამ ქონებების ღირებულების სიზუსტე, ჩვენ არ შეგვიძლია საბოლოოდ შევაფასოთ არის თუ არა აუცილებელი კაპიტალის კორექტირება შეფასების პოტენციური გავლენის გამო. გარდა ამისა, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ დეტალური ინფორმაცია კაპიტალის შემადგენლობასთან დაკავშირებით, კერძოდ ფულადი და არაფულადი შენატანების რომლებიც განხორციელდა 2022 წლის 31 დეკემბრამდე. ჩვენ ასევე ვერ მოვიპოვეთ საკმარისი მტკიცებულება 2021 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში შენატანებზე რომელთა ჯამური ოდენობა შეადგენს 5,135,759 ლარს; ზუსტი ინფორმაციის არარსებობა და კაპიტალის შემადგენლობისთან დაკავშირებით დეტალების ნაკლებობა იწვევს რისკს ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობისა და სიზუსტესთან დაკავშირებით.
3. ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ 2022 წლის 31 დეკემბრის შემდგომ და ვერ შევძელით დავსწრებოდით ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას, საანგარიშო პერიოდის დასაწყისსა და წლის ბოლოს. ძირითადი საშუალებები შეადგენდა 5,246,238 ლარს 2022 წლის 31 დეკემბრისთვის (2021: 4,652,433). გარდა ამისა, კომპანიამ 2021 წლის 31 დეკემბრამდე შეიძინა 4,652,433 ლარის ოდენობის ძირითადი საშუალებები თუმცა კლიენტმა ვერ მოგვაწოდა შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაციები. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული თარიღებისთვის არსებული ძირითადი საშუალებების ნაშთის არსებობაში და შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებში, სრული შემოსავლის, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.
4. ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ 2022 წლის 31 დეკემბრის შემდგომ და ვერ შევძელით დავსწრებოდით მარაგების ინვენტარიზაციას, საანგარიშო პერიოდის დასაწყისსა და წლის ბოლოს, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენდა 2,756,950 ლარს 2022 წლის 31 დეკემბრისთვის (2021: 2,281,890). ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული თარიღებისთვის არსებული მარაგების ნაშთის არსებობასა და ოდენობაში შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებში, სრული შემოსავლის, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

5. გვსურს ყურადღება მივაქციოთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დაკავშირებულია გარკვეული ოპერაციების აღრიცხვასთან, შპს „ეროვნული მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი“ და მისი საბოლოო მშობელი კომპანიის, შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის“ მიერ, 2021 და 2022 წლებში. 2021 წელს შპს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნულმა ცენტრმა სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა მიწა და მასზე დამაგრებული შენობა 11 მილიონის ღირებულებით. კომპანიამ ეს ოპერაცია აღიარა როგორც ძირითადი საშუალებების შემცირება და არასაოპერაციო ხარჯების ზრდა. 2022 წელს შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიამ გამოსცა ბრძანება შპს „მაღალი ტექნოლოგიების ეროვნულ ცენტრში“ ინვესტიციის 11,459,234 ლარით შემცირების შესახებ. ეს ოპერაცია აღიარებულია შპს „მაღალი ტექნოლოგიების ეროვნულ ცენტრში“ როგორც კაპიტალის შემცირება და არასაოპერაციო შემოსავლის ზრდა. ქონების გადაცემის დროს არ მომხდარა მისი სამართლიანი ღირებულების შეფასება. ამ მიზეზის გამო ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია სიზუსტის, შეფასების სისრულის და მოგება-ზარალის და ასევე საწესდებო კაპიტალის შესაბამისობასთან დაკავშირებით.
6. კომპანია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშებას სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ახდენს საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით, რომლის აღრიცხული ჯამური ოდენობა 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შეადგენს 1,543,329 ლარს. ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტორული პროცედურების, კერძოდ, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების გადათვლების შედეგად, საშუალო შეწონილ მეთოდთან მიმართებაში, სააღრიცხვო სისტემაში გამოვლინდა განსხვავებები. გამომდინარე იქედან, რომ კომპანიის სააღრიცხვო სისტემა სრულად ავტომატიზებული არ არის, ჩვენ ვერ მოვპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული რწმუნება სხვაობების გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით და ვერც ალტერნატიული გზით შევძელით აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტივების შეტანა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან მიმართებაში, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების ელემენტებში.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება აუდიტებული იყო სხვა აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელმაც გამოსცა პირობითი მოსაზრება 2022 წლის 22 მაისს.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ვვარაუდობთ, რომ მმართველობითი ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2022 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მიუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენილობის შემთხვევაში.

ჩვენ ჩავატარებთ გარკვეულ პროცედურებს, რომლებიც საჭირო იქნება კომპანიის მმართველობითი ანგარიშის საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობის დასადაგენად და მოსაზრება მასთან დაკავშირებით გაიცემა ცალკე.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - “მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხის გამო, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

24 ნოემბერი, 2023

შპს არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი: ალი მურტუზა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნულ ცენტრის დამფუძნებელსა და მენეჯმენტს

უარი მოსაზრების გამოთქმაზე

ჩვენ დაგვიქირავეს შპს საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნულ ცენტრის (შემდგომში კომპანია) ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისაგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენ არ გამოვთქვამთ მოსაზრებას კომპანიის თანდართული ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენი დასკვნის - „მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის მნიშვნელობის გამო, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება. თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი

1. კომპანიამ შეაფასა ძირითადი საშუალებები 2022 წლის 31 დეკემბრისთვის. თუმცა, ჩვენ, როგორც აუდიტორები, ვერ დავრწმუნდით შეფასებისას გამოყენებულ საფუძვლებში. ქონების შეფასების პროცესს არ გააჩნია საკმარისი და საიმედო საფუძველი, ან არსებობს არსებითი გადახრები შეფასების მეთოდოლოგიაში საყოველთაოდ მიღებული პრინციპებიდან ან დარგის ნორმებიდან. გონივრული დაშვებებისა და შეფასებების არარსებობამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფინანსური ანგარიშგების მთლიან სამართლიანობაზე. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია ქონების შეფასებასთან დაკავშირებით გამოყენებული შეფასების მეთოდებისა და მასთან დაკავშირებული გაურკვევლობების გამო. ჩვენ ასევე ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა მათი კორექტირება, ცვეთა და გასხვისების შედეგად მიღებული მოგება/(ზარალი) წლების განმავლობაში. შესაბამისად, ამ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი მნიშვნელოვანი გავლენის გამო.
2. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,471,968 მლნ ლარს, რომელიც მოიცავს სხვადასხვა სახის, როგორც ფულად ასევე არაფულად შენატანებს. არაფულადი ტრანზაქციები (კონტრიბუციები და გატანები) განხორციელებულია სხვადასხვა წლებში. ჩვენ ვერ მივიღეთ საკმარისი რწმუნება დოკუმენტაციის სისრულესა და ძირითადი საშუალებების ღირებულებაზე ტრანზაქციის განხორციელების დროს. რადგან ვერ განვსაზღვრეთ ამ ქონებების ღირებულების სიზუსტე, ჩვენ არ შეგვიძლია საბოლოოდ შევაფასოთ არის თუ არა აუცილებელი კაპიტალის კორექტირება შეფასების პოტენციური გავლენის გამო. გარდა ამისა, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ დეტალური ინფორმაცია კაპიტალის შემადგენლობასთან დაკავშირებით, კერძოდ ფულადი და არაფულადი შენატანების რომლებიც განხორციელდა 2022 წლის 31 დეკემბრამდე. ჩვენ ასევე ვერ მოვიპოვეთ საკმარისი მტკიცებულება 2021 წლის განმავლობაში საწესდებო კაპიტალში შენატანებზე რომელთა ჯამური ოდენობა შეადგენს 5,135,759 ლარს; ზუსტი ინფორმაციის არარსებობა და კაპიტალის შემადგენლობისთან დაკავშირებით დეტალების ნაკლებობა იწვევს რისკს ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობისა და სიზუსტესთან დაკავშირებით.
3. ჩვენ აუდიტორებად დავინიშნეთ 2022 წლის 31 დეკემბრის შემდგომ და ვერ შევძელით დავსწრებოდით ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაციას, საანგარიშო პერიოდის დასაწყისსა და წლის ბოლოს. ძირითადი საშუალებები შეადგენდა 5,246,238 ლარს 2022 წლის 31 დეკემბრისთვის (2021: 4,652,433). გარდა ამისა, კომპანიამ 2021 წლის 31 დეკემბრამდე შეიძინა 4,652,433 ლარის ოდენობის ძირითადი საშუალებები თუმცა კლიენტმა ვერ მოგვანოდა შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტაციები. ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული თარიღებისთვის არსებული ძირითადი საშუალებების ნაშთის არსებობაში და შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, სრული შემოსავლის, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.

THE POWER OF BEING UNDERSTOOD
AUDIT | TAX | CONSULTING

4. ჩვენ აუდიტრებად დავინიშნეთ 2022 წლის 31 დეკემბრის შემდგომ და ვერ შევძელით დავსწრებოდით მარაგების ინვენტარიზაციას, საანგარიშო პერიოდის დასაწყისსა და წლის ბოლოს, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენდა 2,756,950 ლარს 2022 წლის 31 დეკემბრისთვის (2021: 2,281,890). ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ დავრწმუნდით აღნიშნული თარიღებისთვის არსებული მარაგების ნაშთის არსებობასა და ოდენობაში შესაბამისად ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებში, სრული შემოსავლის, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგების ელემენტებში.
5. გვსურს ყურადღება მივაქციოთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დაკავშირებულია გარკვეული ოპერაციების აღრიცხვასთან, შპს „ეროვნული მაღალი ტექნოლოგიების ცენტრი“ და მისი საბოლოო მშობელი კომპანიის, შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიის“ მიერ, 2021 და 2022 წლებში. 2021 წელს შპს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნულმა ცენტრმა სახელმწიფოს უსასყიდლოდ გადასცა მიწა და მასზე დამაგრებული შენობა 11 მილიონის ღირებულებით. კომპანიამ ეს ოპერაცია აღიარა როგორც ძირითადი საშუალებების შემცირება და არასაოპერაციო ხარჯების ზრდა. 2022 წელს შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიამ გამოსცა ბრძანება შპს „მაღალი ტექნოლოგიების ეროვნულ ცენტრში“ ინვესტიციის 11,459,234 ლარით შემცირების შესახებ. ეს ოპერაცია აღიარებულია შპს „მაღალი ტექნოლოგიების ეროვნულ ცენტრში“ როგორც კაპიტალის შემცირება და არასაოპერაციო შემოსავლის ზრდა. ქონების გადაცემის დროს არ მომხდარა მისი სამართლიანი ღირებულების შეფასება. ამ მიზეზის გამო ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებულია სიზუსტის, შეფასების სისრულის და მოგება-ზარალის და ასევე სანესდებო კაპიტალის შესაბამისობასთან დაკავშირებით.
6. კომპანია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების გაანგარიშებას სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ახდენს საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით, რომლის აღრიცხული ჯამური ოდენობა 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შეადგენს 1,543,329 ლარს. ჩვენ მიერ ჩატარებული აუდიტორული პროცედურების, კერძოდ, რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების გადათვლების შედეგად, საშუალო შეწონილ მეთოდთან მიმართებაში, სააღრიცხვო სისტემაში გამოვლინდა განსხვავებები. გამომდინარე იქედან, რომ კომპანიის სააღრიცხვო სისტემა სრულად ავტომატიზებული არ არის, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული რწმუნება სხვაობების გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით და ვერც ალტერნატიული გზით შევძელით აღნიშნული ინფორმაციის გადამოწმება. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებასთან მიმართებაში, ასევე ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში წარმოდგენილი წმინდა საოპერაციო ფულადი ნაკადების ელემენტებში.

სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული ფინანსური ანგარიშგება აუდიტრებული იყო სხვა აუდიტორული კომპანიის მიერ, რომელმაც გამოსცა პირობითი მოსაზრება 2022 წლის 22 მაისს.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია მმართველობით ანგარიშში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ვვარაუდობთ, რომ მმართველობითი ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2022 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენ ჩავატარებთ გარკვეულ პროცედურებს, რომლებიც საჭირო იქნება კომპანიის მმართველობითი ანგარიშის საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობის დასადგენად და მოსაზრება მასთან დაკავშირებით გაიცემა ცალკე.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის მეთვალყურეობაზე.


აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩავატაროთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად და გავცეთ აუდიტორის დასკვნა. თუმცა, ჩვენი დასკვნის - "მოსაზრების გამოთქმაზე უარის საფუძველი" - ნაწილში აღწერილი საკითხის გამო, ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებების მოპოვება, თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. ჩვენ დამოუკიდებლად ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბესს“) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის („ბესს-ის ეთიკის კოდექსი“) შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

24 ნოემბერი, 2023

შპს არესემ საქართველოს სახელით

გარიგების პარტნიორი: ალი მურტაზა

Rsm Georgia


შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	5,246,238	4,652,433
არამატერიალური აქტივები		8,514	11,828
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,254,752	4,664,261
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	2,756,950	2,281,890
გადახდილი ავანსები		269,602	88,551
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	9,167	252,231
წინასწარ გადახდილი გადასახადები	8	660,177	571,515
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	1,703,288	2,221,710
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,399,184	5,415,897
სულ აქტივები		10,653,936	10,080,158
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	800,000	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		800,000	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	4,556,324	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,480,284	1,539,327
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,036,608	1,539,327
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	4,471,969	15,931,203
სარეზერვო კაპიტალი		310,598	-
დაუფარავი ზარალი		(965,239)	(7,390,372)
სულ კაპიტალი		3,817,328	8,540,831
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		10,653,936	10,080,158

ვახტანგ ბეთლემიძე
 გენერალური დირექტორი

ირინა ჩაგელიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2022	2021
შემოსავალი	12	2,644,662	2,035,138
თვითღირებულება	13	(1,486,711)	(1,543,329)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	347,726
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები		-	(4,612)
საერთო მოგება		1,157,951	834,923
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(5,129,805)	(3,602,421)
საოპერაციო ზარალი		(3,971,854)	(2,767,498)
ზარალი ზირითადი საშუალებების გადაფასებიდან	15	(538,371)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	16	11,362,107	(9,970,367)
საპროცენტო ხარჯი	10	(311,304)	-
წმინდა (ზარალი)/მოგება საკუთროსო სხვაობიდან		(115,723)	(161,947)
საპროცენტო შემოსავალი	9	278	-
ზარალი დაბეგვრამდე		6,425,133	(12,899,812)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა ზარალი		6,425,133	(12,899,812)
სხვა სრული შემოსავალი			
მოგება ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან		310,598	-
სულ წლის სრული ხარჯი		6,735,731	(12,899,812)

ვახტანგ ბეთლემიძე
 გენერალური დირექტორი

ირინა ჩაგელიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სარეზერვო კაპიტალი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2021	13,855,580	5,509,440	-	19,365,020
კაპიტალის ზრდა	2,075,623	-	-	2,075,623
2021 წლის ხარჯი	-	(12,899,812)	-	(12,899,812)
31 დეკემბერი 2021	15,931,203	(7,390,372)	-	8,540,831
კაპიტალის შემცირება	(11,502,234)	-	-	(11,502,234)
ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტი	43,000	-	-	43,000
გადაფასების რეზერვი	-	-	310,598	310,598
2022 წლის შემოსავალი	-	6,425,133	-	6,425,133
31 დეკემბერი 2022	4,471,969	(965,239)	310,598	3,817,328

ვახტანგ ბეთლემიძე
 გენერალური დირექტორი

ირინა ჩაგელიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნები	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება/ზარალი დაბეგვრამდე	6,425,133	(12,899,812)
<i>კორექტირებები:</i>		
ცვეთა და ამორტიზაცია	121,495	382,563
მოგება კაპიტალის შემცირებიდან	15 (11,459,234)	-
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	14 2,016,652	205,524
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან	-	10,013,554
ზარალი ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან	538,371	-
წმინდა მოგება საკუროს სხვაობიდან	115,723	161,947
საპროცენტო ხარჯი	311,304	-
საოპერაციო შედეგები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	(1,930,556)	(2,136,224)
კლება/(ზრდა) მარაგებში	(2,515,326)	74,153
კლება/(ზრდა) ავანსებში	(181,048)	(49,074)
კლება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	44,686	1,349,658
კლება/(ზრდა) სავაჭრო ვალდებულებებში	(59,477)	1,538,298
კლება/(ზრდა) საგადასახადო აქტივებში	(88,662)	(13,684)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ფულადი სახსრები	(4,730,383)	763,127
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების, შეძენა	5 (713,669)	(391,961)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(600)	(958)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(714,269)	(392,919)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებისგან მიღებული თანხა	5,045,020	-
ფულადი საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	5,045,020	-
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა / (შემცირება)	(399,632)	370,208
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(118,790)	(193,116)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9 2,221,710	2,044,618
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	9 1,703,288	2,221,710

ვახტანგ ბეთლემიძე
 გენერალური დირექტორი

ირინა ჩაგელიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	5,246,238	4,652,433
არამატერიალური აქტივები		8,514	11,828
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,254,752	4,664,261
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	6	2,756,950	2,281,890
გადახდილი ავანსები		269,602	88,551
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	9,167	252,231
წინასწარ გადახდილი გადასახადები	8	660,177	571,515
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	1,703,288	2,221,710
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,399,184	5,415,897
სულ აქტივები		10,653,936	10,080,158
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	800,000	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		800,000	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	4,556,324	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		1,480,284	1,539,327
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,036,608	1,539,327
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	4,471,969	15,931,203
სარეზერვო კაპიტალი		310,598	-
დაუფარავი ზარალი		(965,239)	(7,390,372)
სულ კაპიტალი		3,817,328	8,540,831
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		10,653,936	10,080,158

ვახტანგ ბეთლემიძე

გენერალური დირექტორი





ირინა ჩაგელიშვილი

მთავარი ბუღალტერი

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	2022	2021
შემოსავალი	12	2,644,662	2,035,138
თვითღირებულება	13	(1,486,711)	(1,543,329)
სხვა საოპერაციო შემოსავალი		-	347,726
მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯები		-	(4,612)
საერთო მოგება		1,157,951	834,923
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(5,129,805)	(3,602,421)
საოპერაციო ზარალი		(3,971,854)	(2,767,498)
ზარალი ზირითადი საშუალებების გადაფასებიდან	15	(538,371)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	16	11,362,107	(9,970,367)
საპროცენტო ხარჯი	10	(311,304)	-
წმინდა (ზარალი)/მოგება საკუთრივ სხვაობიდან		(115,723)	(161,947)
საპროცენტო შემოსავალი	9	278	-
ზარალი დაბეგვრამდე		6,425,133	(12,899,812)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა ზარალი		6,425,133	(12,899,812)
სხვა სრული შემოსავალი			
მოგება ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან		310,598	-
სულ წლის სრული ხარჯი		6,735,731	(12,899,812)

ვახტანგ ბეთლემიძე

გენერალური დირექტორი

ი. სიგუაძე


ირინა ჩაგელიშვილი

მთავარი ბუღალტერი

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სარეზერვო კაპიტალი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2021	13,855,580	5,509,440	-	19,365,020
კაპიტალის ზრდა	2,075,623	-	-	2,075,623
2021 წლის ხარჯი	-	(12,899,812)	-	(12,899,812)
31 დეკემბერი 2021	15,931,203	(7,390,372)	-	8,540,831
კაპიტალის შემცირება	(11,502,234)	-	-	(11,502,234)
ძირითადი საშუალებების გადაფასების ნამეტი	43,000	-	-	43,000
გადაფასების რეზერვი	-	-	-	-
2022 წლის შემოსავალი	-	-	310,598	310,598
31 დეკემბერი 2022	4,471,969	(965,239)	310,598	3,817,328



 ვახტანგ ბეგელაშვილი
 გენერალური დირექტორი



 ირინა ჩაგელიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შენიშვნები	2022	2021
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება/ზარალი დაბეგვრამდე კორექტირებები:	6,425,133	(12,899,812)
ცვეთა და ამორტიზაცია	121,495	382,563
მოგება კაპიტალის შემცირებიდან	15 (11,459,234)	-
გაუფასურების რეზერვის ცვლილება	14 2,016,652	205,524
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოწერიდან	-	10,013,554
ზარალი ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან	538,371	-
წმინდა მოგება საკუროს სხვაობიდან	115,723	161,947
საპროცენტო ხარჯი	311,304 -	-
საოპერაციო შედეგები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე	(1,930,556)	(2,136,224)
კლება/(ზრდა) მარაგებში	(2,515,326)	74,153
კლება/(ზრდა) ავანსებში	(181,048)	(49,074)
კლება/(ზრდა) სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	44,686	1,349,658
კლება/(ზრდა) სავაჭრო ვალდებულებებში	(59,477)	1,538,298
კლება/(ზრდა) საგადასახადო აქტივებში	(88,662)	(13,684)
საოპერაციო საქმიანობით წარმოქმნილი ფულადი სახსრები	(4,730,383)	763,127
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების, შემენა	5 (713,669)	(391,961)
არამატერიალური აქტივების შემენა	(600)	(958)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(714,269)	(392,919)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებისგან მიღებული თანხა	5,045,020	-
ფულადი საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	5,045,020	-
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა / (შემცირება)	(399,632)	370,208
გაცვლითი კურსის ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე	(118,790)	(193,116)
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9 2,221,710	2,044,618
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	9 1,703,288	2,221,710


 ვახტანგ ბეთსოლომიძე
 გენერალური დირექტორი


 ირინა ჩაგელიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

1. ძირითადი საქმიანობა

ორგანიზაცია და ოპერაციები

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 1995 წლის 25 მაისს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 204862372

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის შპს „აქტივების მართვის და განვითარების კომპანია“. საბოლოო მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა იზოტოპების წარმოება. დამატებით კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ანალიტიკურ მომსახურებას, რომელიც გულისხმობს შუალედურ და მზა პროდუქტებში იზოტოპური შემადგენლობის განსაზღვრას მასექტომეტრული მეთოდით. ცენტრის მიერ წარმოებული პროდუქციის და სერვისების მომხმარებლები ძირითადად მედიცინის, ბირთვული ტექნოლოგიების, მიკროელექტრონიკის და სოფლის მეურნეობის სეგმენტის წარმომადგენლები არიან.

კომპანიის სარეგისტრაციო მისამართია: ვაკის რაიონი, ქავთარაძის ქ. N21, თბილისი, საქართველო. კომპანიის მთავარი ოფისი მდებარეობს მის რეგისტრაციის მისამართზე

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მეთოდების შეჯამება

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში „ფასს“) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ. წინა წლის ფინანსური ანგარიშგება ასევე მომზადებული იყო ფასს-ის შესაბამისად.

ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი (ლარი), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და ვალუტა, რომელშიც წარმოდგენილია ეს ფინანსური ანგარიშგება.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ კომპანია არის სახელმწიფო საკუთრებაში. იმის მიუხედავად რომ კომპანიას აქვს დაგროვილი ზარალი, კომპანიის შემოსავლების დიმანკა სტაბილურია, კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ეს დინამიკა შესაძლებელს გახდის კომპანიის სტაბილურ ფუნქციონირებას. ასევე კომპანიის მიმდინარე აქტივები მნიშვნელოვნად აღემატება მის მიმდინარე ვალდებულებებს, რაც გულისხმობს რომ კომპანია არის ვალდებულებების გადახდისუნარიანი, ფინანსური ანგარიშგების მომზადებიდან მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასთან და მის სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. ასევე აქტივის დემონტაჟისა და ტერიტორიის გადატანის ღირებულების საწყისი შეფასება. სავარაუდო ხარჯები აღიარებულია რეზერვის სახით. თუ ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვან ნაწილებს აქვთ განსხვავებული სასარგებლო ვადა, ისინი აღიარებულია ძირითადი საშუალებების ცალკეულ ერთეულებად.

ძირითადი საშუალებების კომპონენტის ჩანაცვლების ღირებულება აღიარებულია ნივთის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა, რომ მომავალი ეკონომიკური სარგებელი მიეძინება კომპანიას და მისი ღირებულება შეიძლება შეფასდეს საიმედოდ. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება გაუქმებულია. ქონებისა და აღჭურვილობის ყოველდღიური მომსახურების ხარჯები აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოშობისთანავე.

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა ქონების გადაფასება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. შედეგად, ამ თარიღიდან კომპანია აქტივებს აფასებს გადაფასების მოდელის გამოყენებით, მანამდე კი ძირითად საშუალებებს აღრიცხავდა თვითღირებულების მოდელის გამოყენებით.

აქტივად აღიარების შემდეგ ქონება აღრიცხება გადაფასების მოდელის გამოყენებით, დაგროვილი ცვეთის და/ან გაუფასურების ხარჯების გამოკლებით. ამორტიზაცია ირიცხება მოგების ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასარგებლო ვადის შეფასების საფუძველზე. ამორტიზაცია იწყება აქტივის გამოყენებისას.

ძირითადი ძირითადი ელემენტების სასარგებლო ვადები მიმდინარე და შედარებითი პერიოდებისთვის არის შემდეგი:

შენობები 18 დან 50 წლამდე;

მანქანა დანადგარები 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები 5 წელი;

მიწა არ იცვითება;

საჭიროების შემთხვევაში ყოველი საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ხდება ცვეთის გაანგარიშების მეთოდის და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა.

ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზირებული ღირებულება და ეფექტური საპროცენტო განაკვეთი

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება არის ღირებულება, რომლითაც შეფასდება ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარების დროს, მინუს სესხის ძირი თანხის დასაფარად გადასახდელი თანხები, პლუს ან მინუს დაგროვილი ამორტიზაცია, თავდაპირველ ღირებულებასა და დასაფარ ღირებულებას შორის სხვაობის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი და მინუს (პირდაპირ, ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი, ან თანხის ამოუღებლობით (უიმედო ვალით) წარმოქმნილი ნებისმიერი დანაკარგები. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე პერიოდის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი შეფასებული ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ნეტო საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გაანგარიშების დროს, საწარმომ ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები უნდა შეაფასოს ყველა სახელშეკრულებო პირობის გათვალისწინებით, მაგრამ არ უნდა გაითვალისწინოს მომავალი საკრედიტო ზარალი. გაანგარიშება მოიცავს ყველა საზღაურსა და გადახდილ ან მიღებულ ერთეულს (აქტივის ნომინალური ღირებულების ცვლილების ყოველი ერთეული) ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, აგრეთვე გარიგების დანახარჯებსა და ყველა სხვა პრემიასა და ფასდათმობას. არსებობს ვარაუდი, რომ მსგავსი ფინანსური ინსტრუმენტების ჯგუფის მოსალოდნელი ვადა და ფულადი ნაკადები შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. როდესაც კომპანიის მიერ ხდება მომავალი ფულადი ნაკადების გადახედვა შესაბამისი ფინანსური აქტივი ან ვალდებულების კორექტირდება რათა აისახოს ცვლილებები. კომპანიის მიერ ნებისმიერი ცვლილება აღიარებულია მოგება-ზარალში.

საპროცენტო შემოსავალი

საპროცენტო ამონაგები საწარმომ უნდა გამოითვალოს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში, გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

ა) შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები. საწარმომ ამგვარი ფინანსური აქტივებისთვის, თავდაპირველი აღიარებისას უნდა განსაზღვროს საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი და გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში

ბ) ფინანსური აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენს შეძენილ ან შექმნილ გაუფასურებულ ფინანსურ აქტივებს, არამედ შემდგომში გახდა საკრედიტო რისკის გავლენით გაუფასურებული ფინანსური აქტივები. ამგვარი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საწარმომ, მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა გამოიყენოს ფინანსური აქტივის ამორტიზებულ ღირებულებასთან მიმართებაში.

თავდაპირველი აღიარება

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. ბაზრის სტანდარტული პირობებით ფინანსური აქტივების ყიდვა-გაყიდვისას ფინანსური აქტივების აღიარება და აღიარების შეწყვეტა უნდა მოხდეს გარიგების თარიღით ან ანგარიშსწორების თარიღით, შესაბამისად. ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებისათვის კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებისთანავე, აღიარებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალის ანარიცხს მოგება ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. თუ თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის და ვალდებულების რეალური ღირებულება განსხვავდება გარიგების ღირებულებისაგან ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტებს ამ თარიღისთვის აღრიცხავს შემდეგნაირად:

ა) თუ რეალური ღირებულება დასტურდება იდენტური აქტივის ან ვალდებულების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასით (ე.ი პირველი დონის ამოსავალი მონაცემი), ან ეყრდნობა შეფასების ისეთ მეთოდს, რომელშიც გამოიყენება მხოლოდ ემპირიული ბაზრების მონაცემები. ორგანიზაცია თავდაპირველი აღიარებისას რეალურ ღირებულებასა და გარიგების ღირებულებას შორის სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი

ბ) ყველა სხვა შემთხვევაში რეალური ღირებულება კორექტირდება თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ რეალურ ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის სხვაობის თანხის გადავადების გზით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანია გადავადებულ სხვაობას აღიარებს როგორც შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ იმ ოდენობით, რომელიც წარმოიქმნება ისეთი ფაქტორის ცვლილებით (დროის ფაქტორის ჩათვლით), რომელსაც ბაზრის მონაწილეები განიხილავდნენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას.

ფინანსური აქტივები

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

კომპანია იყენებს ფასს 9-ს და ფინანსურ აქტივებს აფასებს მომედევნო სამი კატეგორიიდან ერთ-ერთის მიხედვით: სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით; სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავალში ასახვით; ამორტიზირებული ღირებულებით.

სავალო ინსტრუმენტები

სავალო ინსტრუმენტები არის ყველა ის ინსტრუმენტი რომელიც შეესაბამება განმარტებას რომ ინსტრუმენტის გამომშვების პერსპექტივიდან იგი წარმოადგენს ფინანსურ ვალდებულებას, სავალო ინსტრუმენტებია სესხები, სახელმწიფო და კორპორატიული ბონდები, კლიენტისგან შეძენილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნები.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება სავალო ინსტრუმენტების დამოკიდებულია შემდეგ ფაქტორებზე:

ა) ორგანიზაციის ბიზნესმოდელი, რომელიც გამოიყენება ფინანსური აქტივების მართვისთვის

ბ) ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები

აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით კომპანია აქდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიცირებას ერთ-ერთში შემდგომი სამი საზომი კატეგორიიდან:

ამორტიზირებული ღირებულება: ორგანიზაცია ფინანსურ აქტივს ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას. აქტივის ღირებულება კორექტირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხების აღიარებით. საპროცენტო შემოსავალი აღნიშნული აქტივებისთვის კლასიფიცირდება როგორც „საპროცენტო და მსგავსი ტიპის შემოსავალი“ ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით: ფინანსური აქტივი რომელსაც ორგანიზაცია ფლობს ისეთი ბიზნესმოდელის პირობებში, რომლის მიზანია როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ასევე ფინანსური აქტივების გაყიდვა და ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას აღიარებულია როგორც რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, ღირებულებაში მოძრაობები აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურების მოგებისა და ზარალის აღიარებისა, საპროცენტო შემოსავლისა და კურსთაშორის სხვაობის ეფექტისა რომელიც აღიარდება მოგება-ზარალში. როდესაც ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება კუმულატიური მოგება ან ზარალი რომლის ასახვაც მოხდა სხვა სრულ შემოსავალში რეკლასიფიცირდება ექვითიდან მოგება-

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

ზარალში და აღიარდება „წმინდა საინვესტიციო შემოსავალი“. საპროცენტო შემოსავალი ფინანსური აქტივისგან კლასიფიცირდება როგორც საპროცენტო შემოსავალი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

რეალური ღირებულება მოგება-ზარალში ასახვით: აქტივი რომელიც შეფასებული არ არის ამორტიზებული ღირებულებით ან რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში.

ბიზნეს მოდელი: ორგანიზაციის ბიზნესმოდელი გვიჩვენებს, როგორ მართავს საწარმო თავის ფინანსურ აქტივებს, ფულადი ნაკადების გენერირების მიზნით, ანუ ორგანიზაციის ბიზნესმოდელით განისაზღვრება, რა სახით წარმოიქმნება ფულადი ნაკადები: სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ფინანსური აქტივების გაყიდვით, თუ ერთობლივად ორივე გზით. თუ არცერთი აღნიშნული მოდელი არ არის შესაბამისობაში ასეთ შემთხვევაში ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც სხვა ბიზნეს მოდელი და იზომება სამართლიანი ღირებულებით.

SPPI ტესტი: ბიზნეს მოდელის იმ კატეგორიით სადაც აქტივების ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება ან სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება და გაყიდვა, კომპანია აფასებს, ფინანსური ინსტრუმენტებიდან მისაღები ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა ძირის და პროცენტის გადახდას (SPPI ტესტი).

შეფასებისას, კომპანია განსაზღვრავს, შეიცავს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები თანმიმდევრულ გადახდებს საკრედიტო შეთანხმების მიხედვით. მაგალითად პროცენტი მოიცავს თუ არა ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასესხებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური რისკებისა და დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას.

თუ სახელშეკრულები პირობები მნიშვნელოვნად ზრდის რისკს ან არასტაბილურობას რაც არ არის შესაბამისობაში სესხის ძირითად ხელშეკრულებასთან, დაკავშირებული ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება ან ზარალში ასახვით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ორგანიზაცია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, იგი ახდენს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაციას

წილობრივი ინსტრუმენტები

წილობრივი ინსტრუმენტი წარმოადგენს ნებისმიერ კონტრაქტს, რომელიც ადასტურებს კომპანიის აქტივებში ნარჩენ წილს, ყველა ვალდებულების გამოქვითვის შემდეგ. კომპანიის მიერ გამოშვებული წილობრივი ინსტრუმენტები აღიარებას ექვემდებარება მიღებულ შემოსავლებთან ერთად გამოშვების ხარჯების გამოკლებით. წილობრივი ინსტრუმენტების მაგალითია ჩვეულებრივი აქციები..

გაუფასურება კომპანია წინდახედულობის პრინციპიდან გამომდინარე აფასებს მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგებს (ECL), იმ ტიპის ფინანსურ აქტივებზე რომლებიც აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავალში ასახვით.

ორგანიზაცია ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს აფასებს ისეთი მეთოდით რომელიც ასახავს:

- მიუკერძოებელ და ალბათობებით შეწონილ ოდენობას, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების დიაპაზონის შეფასებით;
- ფულის დროით ღირებულებას; და
- გონივრულ და ღირებულ ინფორმაციას წარსული მოვლენების, მიმდინარე პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზების შესახებ, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმისაწვდომია მიზანშეუწონელი დანახარჯების ან ძალისხმევების გარეშე.

დებიტორულ დავალიანებებს, როლებიც კომპანიის შეფასებით არ უფასურდება ინდივიდუალურად, კომპანია აუფასურებს ჯგუფურად, წინა წლების გადახდების გათვალისწინებით.

გაუფასურების გაანგარიშების მიდგომის ცხრილი მოცემულია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>180
ECL პროცენტი	2%	5%	25%	50%	100%

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ როდესაც ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებს მიღების სახელშეკრულებო ვადა ეწურება ან როდესაც ხდება შემდეგი ორი სიტუაციიდან ერთ-ერთი:

- 1) ორგანიზაცია გადასცემს ფინანსური აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებას ან
- 2) არც გადასცემს და არც ინარჩუნებს ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ პრაქტიკულად ყველა რისკსა და სარგებელს და არ ინარჩუნებს კონტროლს ფინანსურ აქტივზე.

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური ვალდებულებები **კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება**

საწარმომ ყველა ფინანსურ ვალდებულებას უნდა მიაწიოს კლასიფიკაცია „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“, გარდა:

- ა) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც ასახულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. ასეთი ვალდებულებები, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ჩათვლით, რომლებიც ვალდებულებებს წარმოადგენს, საწარმომ შემდგომში უნდა შეაფასოს რეალური ღირებულებით;
- ბ) ფინანსური ვალდებულებებისა, რომლებიც იმ შემთხვევაში წარმოიქმნება, როდესაც ფინანსური აქტივის გადაცემა არ აკმაყოფილებს აღიარების შეწყვეტის კრიტერიუმებს, ან, როდესაც გამოიყენება აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების მიდგომა.
- გ) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებისა

აღიარების შეწყვეტა

ორგანიზაცია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილი) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან მხოლოდ იმ შემთხვევაში იღებს, როდესაც ის შესრუდება - ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა. არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტის გაცვლა არსებულ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის განხილულ უნდა იქნეს, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დაფარვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავებულად მიიჩნევა, თუ თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განსაზღვრული ახალი პირობების შესაბამისი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება, ნებისმიერი ნეტო გადახდილი საზღაურის (გადახდილ საზღაურს მინუს მიღებული საზღაური) ჩათვლით, სულ მცირე 10 პროცენტით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულებისაგან. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა განიხილება როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოშობილი დანახარჯები თუ საზღაური უნდა აღიარდეს, როგორც გაუქმების შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი. თუ სავალო ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების შეცვლა არ განიხილება, როგორც გაუქმება, ნებისმიერი წარმოქმნილი დანახარჯები თუ საზღაური აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზდება მოდიფიცირებული ვალდებულების დარჩენილი ვადის განმავლობაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგების შეფასება ხორციელდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ხარჯის დასადგენად გამოიყენება - საშუალო შეწონილი ფასის მეთოდი.

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირებულია როგორც კაპიტალი. როდესაც საწესდებო კაპიტალი არაფულადი შენატანით იზრდება, აღნიშნული შენატანი აღიარდება როგორც დამატებითი შეტანილი კაპიტალი. სხვაობა არაფულადი შენატანის ნომინალურ და სამართლიან ღირებულებას შორის აღიარდება როგორც დამატებითი შენატანი კაპიტალში.

დივიდენდის განაწილება

დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

შემოსავალი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს იზოტოპების რეალზაცია.

ამონაგებს მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან კომპანია აღიარებს საქონლის ან მომსახურების კონტროლის გადაცემისას მომხმარებელზე იმ ღირებულებით, რომელიც ასახავს იმ საზღაურს, რომლის გადახდასაც კომპანია მოელის გადაცემული საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ. ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდოდ შეფასება.

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ამონაგების აღიარებამდე ასევე აუცილებელია შემდეგი კონკრეტული აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილება:

ამონაგები განისაზღვრება მისივე სამართლიანი ღირებულებით ან სავაჭრო მოთხოვნებით, რომელშიც გათვალისწინებულია კომპანიის ფასდაკლებები და ფასდათმობები. ამონაგები მცირდება შეფასებული ფასდაკლებებით და სხვა მსგავსი შედეგებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

კომპანია ახდენს ისეთი საქონლის რეალიზაციას როგორც არის ამორფული ბორი და ბორის კარბიდი. აღნიშნული საქონლის რეალიზაციიდან შესასრულებელი ვალდებულება სრულდება დროის იმ მომენტში, როდესაც აქტივზე კონტროლი გადადის მომხმარებელზე, ზოგადად მიწოდების დროს და იმავე პერიოდში აღიარებს შემოსავალს.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მოლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- წლიური ფასიანი შვებულებები და ბიულეტენის ანაზღაურება;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განახორციელოს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსები

	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.70	2.88
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.10	3.50
საშუალო გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.91	3.81
საშუალო გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.07	3.81

4. ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

კომპანია იყენებს ყველა შესაბამის სტანდარტს და ინტერპრეტაციას, რომლებიც სავალდებულოა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის.

ახალი და შესწორებული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ეფექტური

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოიცა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ძალაში შედის მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში.

კომპანიას არ გამოუყენებია ახალი, შესწორებული ან შეცვლილი სტანდარტები, რომლებიც გამოიცა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ, მაგრამ ჯერ არ იყო ძალაში შესული 2022 წლის 1 იანვარს დაწყებული ფინანსური წლისთვის:

- სადაზღვევო კომპანიებს აქვთ საშუალება, IFRS 9 ფინანსური ინსტრუმენტების ნაცვლად გააგრძელონ ბასს 39-ის გამოყენება 2023 წლამდე;

- 2017 წლის მაისში გამოიცა IFRS 17 სადაზღვევო კონტრაქტები, რომელიც 2023 წლიდან ჩაანაცვლებს IFRS 4-ს;17

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწა	მიმდინარე მშენებლობა და დაუმონტაჟებული მანქანა დანადგარები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორ- ტო საშუალებებ ი	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2020	8,000,000	1,891,177	2,962,406	1,622,094	343,341	154,901	3,427	14,977,346
შეძენა	2,075,444	560,818	26,317	38,296	13,464	-	-	2,714,339
შიდა მოძრაობა	-	(376,195)	376,195	-	-	-	-	-
გასვლა	(8,000,000)	(22,985)	(3,233,078)	(316,571)	(107,918)	-	(3,427)	(11,683,979)
31 დეკემბერი 2021	2,075,444	2,052,815	131,840	1,343,819	248,887	154,901	-	6,007,706
შეძენა	-	713,669	-	-	-	-	-	713,669
შიდა მოძრაობა	-	(674,058)	552,216	118,509	3,333	-	-	-
კაპიტალში შეტანა	-	-	-	-	-	43,000	-	43,000
კაპიტალიდან გატანა	-	-	-	-	-	(43,000)	-	(43,000)
კაპიტალიზაცია	-	15,755	-	203,744	5,991	-	-	225,490
დაგროვილი ცვეთის გაქვითვა	-	-	(60,096)	(1,139,006)	(183,831)	(55,459)	(34,462)	(1,472,854)
გადაფასების მოგება	-	-	4,991	160,680	44,418	21,261	79,248	310,598
გადაფასების ზარალი	-	-	(101,027)	(388,867)	(17,933)	(25,790)	(4,754)	(538,371)
31 დეკემბერი 2022	2,075,444	2,108,181	527,924	298,879	100,865	94,913	40,032	5,246,238
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება								
31 დეკემბერი 2020	-	-	(1,124,438)	(1,304,298)	(201,599)	(14,401)	(3,427)	(2,648,163)
ცვეთის ხარჯი	-	-	(192,811)	(96,444)	(68,968)	(19,312)	-	(377,535)
გასული აქტივების აკუმულირებული ცვეთის ამობრუნება	-	-	1,259,022	313,235	94,741	-	3,427	1,670,425
31 დეკემბერი 2021	-	-	(58,227)	(1,087,507)	(175,826)	(33,713)	-	(1,355,273)
ცვეთის ხარჯი	-	-	(1,869)	(51,499)	(8,005)	(21,746)	(34,462)	(117,581)
დაგროვილი ცვეთის გაქვითვა	-	-	60,096	1,139,006	183,831	55,459	34,462	1,472,854
31 დეკემბერი 2022	-	-	-	-	-	-	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31 დეკემბერი 2020	8,000,000	1,891,177	1,837,968	317,796	141,742	140,500	-	12,329,183
31 დეკემბერი 2021	2,075,444	2,052,815	73,613	256,312	73,061	121,188	-	4,652,433
31 დეკემბერი 2022	2,075,444	2,108,181	527,924	298,879	100,865	94,913	40,032	5,246,238

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
ფინანსური ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

შეფასების საფუძველი: საწყისი აღიარება: ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს მის შესყიდვის ფასს, უშუალოდ მიკუთვნებულ ხარჯებს და სამომავლო დანახარჯების ნებისმიერ თავდაპირველ შეფასებას, რომელიც აუცილებელია აქტივის მიზნობრივი გამოყენებისთვის.

შემდგომი აღიარება: თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებები აღირიცხება გადაფასებული თანხებით გადაფასების მოდელის მიხედვით. გადაფასებული თანხები არის აქტივების რეალური ღირებულება გადაფასების თარიღისთვის, ყოველგვარი შემდგომი აკუმულირებული ამორტიზაციის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

გადაფასების პერიოდულობა: ძირითადი საშუალებების გადაფასება ხდება პერიოდულად, ყოველ მესამე წელს, იმის უზრუნველსაყოფად, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი რეალური ღირებულებისგან საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა: გადაფასებას ახორციელებენ დამოუკიდებელი, კვალიფიციური შემფასებლები, რომლებსაც აქვთ გამოცდილება აქტივების შეფასებაში. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება აღიარებული შეფასების ტექნიკის გამოყენებით. ეს ტექნიკა შეიძლება მოიცავდეს ბაზრის შედარებებს, შემოსავლის მიდგომებს და ხარჯებზე დაფუძნებულ მეთოდოლოგიებს, დაკვირვებადი მონაცემების უპირატესობის მინიჭებით, როდესაც ეს შესაძლებელია.

გადაფასების შემოსავალი: აქტივის გადაფასებული ოდენობის ნებისმიერი ზრდა აღიარებულია, როგორც გადაფასების ნამეტი სხვა მთლიან შემოსავალში და გროვდება კაპიტალში.

გადაფასების ზარალი: თუ გადაფასება იწვევს ზარალს, ის აღიარებულია მოგებაში-ზარალში.

ცვეთა: ცვეთის ხარჯი გამოითვლება აქტივის გადაფასებულ თანხაზე, რომელიც არის მისი რეალური ღირებულება გადაფასების თარიღისთვის.

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

6. მარაგები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნედლეული და მასალები	3,312,421	994,112
მზა პროდუქცია	130,610	162,528
სამშენებლო მასალა	1,101,811	854,785
სხვა მარაგები	26,881	270,465
ანარიცხი ნელა მოძრავი მარაგებისთვის	(1,814,773)	-
სულ მარაგები	2,756,950	2,281,890

ნედლეული და მასალები მოიცავს წარმოების პროცესისთვის საჭირო მარაგებს. ხოლო სამშენებლო მასალები კომპანიას შეძენილი აქვს დაუმთავრებელი მშენებლობისთვის. 2022 წლის ბოლოს კომპანიას ქონდა ნელა მოძრავი მარაგების ნაშთი, რომლის სრულ ნაშთზეც შეიქმნა ანარიცხი.

ნელა მოძრავი მარაგების რეზერვის მოძრაობა მოცემულია ქვემოთ:

რეზერვის მოძრაობა	31 დეკემბერი, 2022
ნაშთი 1 იანვარს	-
რეზერვის ზრდა	(1,814,773)
ნაშთი 31 დეკემბერს	(1,814,773)

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოთხოვნები რეალიზაციიდან	429,736	30,611
მოთხოვნები მომსახურებიდან	-	440,310
გაუფასურების რეზერვი	(420,569)	(218,690)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9,167	252,231

რეზერვის მოძრაობა მოცემულია ქვემოთ:

რეზერვის მოძრაობა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაშთი 1 იანვარს	(218,690)	(13,166)
რეზერვის ზრდა	(201,879)	(205,524)
ნაშთი 31 დეკემბერს	(420,569)	(218,690)

ვადაგადაცილება	< 30	31-60	61-90	91-180	181>	სულ
პროცენტი	2%	5%	25%	50%	100%	-
მოთხოვნები რეალიზაციიდან	5,272	1,130	1,091	4,220	418,023	429,736
ანარიცხი	105	57	273	2,111	418,023	420,569
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5,167	1,073	818	2,109	-	9,167

კომპანია აღიარებს, რომ საკრედიტო რისკის მართვა და დებიტორული დავალიანების რეზერვის ადეკვატურობის უზრუნველყოფა აუცილებელია ზუსტი ფინანსური ანგარიშგებისთვის. დებიტორული დავალიანების რეზერვი დგინდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით (IFRS) დადგენილი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებით, კონკრეტული მიდგომით.

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

8. წინასწარ გადახდილი გადასახადები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
წინასწარ გადახდილი გადასახადები	660,177	571,515
სულ წინასწარ გადახდილი გადასახადები	660,177	571,515

წინასწარ გადახდილი გადასახადები არის შემოსავლების სამსახურშია ავანსად გადახდილი თანხები.

9. ფული და ფულის ექვივალენტები

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ნაღდი ფული	59	59
ფული საბანკო ანგარიშებზე	1,703,229	2,221,652
ბანკის ანგარიშებზე	1,703,229	2,221,652
ლარი	239	5,139
დოლარი	1,702,990	2,216,513
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,703,288	2,221,711

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები განთავსებულია ბანკებსა და ფინანსური ინსტიტუტებში, რომლებსაც Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ მინიჭებული აქვთ შეფასებები BB- (გრძელვადიანი რეიტინგი) და B (მოკლევადიანი რეიტინგი). კომპანია არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

კომპანია მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაქტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

10. სესხები

მოკლევადიანი სესხი

სესხის #	დაწყების თარიღი	დაფარვის თარიღი	პროცენტის დაფარვა	ძირის დაფარვა	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა ლარში
შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია	7/25/2022	7/25/2023	სესხის დაფარვის თარიღით	სესხის დაფარვის თარიღით	13.80%	ლარი	4,245,020
სულ ძირი							4,245,020

გრძელვადიანი სესხი

სესხის #	დაწყების თარიღი	დაფარვის თარიღი	პროცენტის დაფარვა	ძირის დაფარვა	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	თანხა ლარში
შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია	5/17/2022	5/13/2024	სესხის დაფარვის თარიღით	სესხის დაფარვის თარიღით	12.60%	ლარი	800,000
სულ ძირი							800,000

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოკლევადიანი სესხი	4,245,020	-
გრძელვადიანი სესხი	800,000	-
გადასახდელი პროცენტი	311,304	-
სულ სესხები	5,356,324	-

სესხები მიღებულია შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანიისგან. სასესხო ხელშეკრულება არ მოიაზრებს კოვენანტებისა და უზრუნველყოფას.

11. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალის, გაუნაწილებელი მოგებისა და გადაფასების რეზერვისგან. კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2022 წლის განმავლობაში გაიზარდა 43,000 ლარით და შემცირდა 11,502,234 ლარით, აქედან 43,000 ლარი იყო გატანილი ძირითადი საშუალებების ღირებულება, ხოლო 11,459,234 ლარი კაპიტალის შემცირება. (2021: საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 2,075,624 ლარით რაც შედგებოდა მიწის ღირებულებისგან).

12. შემოსავალი

	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	2,634,466	2,035,138
სხვა შემოსავალი	10,196	-
სულ შემოსავალი	2,644,662	2,035,138

შემოსავალი რეალიზაციიდან მოიცავს ბორონ კარბონის რეალიზაციით მიღებულ შემოსავალს.

13. თვითღირებულება

თვითღირებულების ხარჯმა 2022 წელს 1,487,422 ლარი შეადგინა (2021:1,547,491 ლარი). თვითღირებულება მოიცავს მზა პროდუქციის ბორონ კარბონის ღირებულებას, რომლსაც აწარმოებს კომპანია.

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2022	2021
ხელფასის ხარჯი	2,415,083	2,547,760
მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები	2,016,652	205,524
დაცვის ხარჯები	166,780	166,780
მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯები	126,494	69,118
ცვეთა და ამორტიზაცია	117,227	382,637
კომუნალური ხარჯები	111,573	106,295
საწვავის ხარჯები	42,211	37,189
საკონსულტაციო ხარჯი	9,404	3,463
წარმომადგენლობითი ხარჯები	9,213	11,347
სხვა საოპერაციო ხარჯი	115,168	72,308
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	5,129,805	3,602,421

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები შედგება ნელა მოძრავი მარაგების რეზერვისგან 1,814,773 და სავაჭრო მოთხოვნების რეზერვისგან 201,879 ლარი.

15. ზარალი ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან

ქონების გადაფასების შედეგად მიღებული ზარალი მოიცავს აქტივების რეალური ღირებულების შემცირებას გადაფასების შემდეგ, გადაფასების შედეგად ზარალის ოდენობა შეადგენს 538,371 ლარს.

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

16. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი

	2022	2021
უსასყიდლოდ მიწოდებული ძირითადი საშუალებები	-	(9,564,413)
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	(462,950)
სხვა ხარჯები	(151,906)	(4,962)
ჯართის რელიზაციიდან მიღებული შემოსავალი	-	15,800
შემოსავალი კაპიტალის შემცირებიდან	11,459,234	-
ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილი ზედმეტობა	-	32,476
ზარალი გადაფასებიდან	-	-
სხვა შემოსავალი	54,779	13,682
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	11,362,107	(9,970,367)

2021 წლის განმავლობაში შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნულმა ცენტრმა“ უსასყიდლოდ გადასცა სახელმწიფოს მიწა და შენობა, ხოლო 2022 წელს შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“ შეამცირა იმავე ოდენობით ინვესტიცია შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნულ ცენტრში“. 22.03.2022 თარიღის ბრძანებით, ნომერი #05/55.

17. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს ხშირი ცვლილებები კანონმდებლობაში, ოფიციალურ განცხადებებსა და სასამართლო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ზოგჯერ გაუგებარი, წინააღმდეგობრივია და ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციას. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ აქვს უფლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევის სამი წლის გასვლის შემდეგ.

ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას მნიშვნელოვანი საგადასახადო რისკები საქართველოში სხვა ქვეყნებთან შედარებით. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად შეაფასა საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციის საფუძველზე. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შეიძლება ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

სასამართლო დავები

საანგარიშგებო პერიოდისთვის კომპანია („მოსარჩელე“) ჩაბმული იყო შპს „სპექტრა გეზის ჯორჯიასთან“ („მოპასუხე“) სასამართლო დავაში. კერძოდ, მოსარჩელე, მოპასუხისგან მოითხოვს ნაკისრი ვალდებულების შესრულებას და 2018 წელს წარმოებული პროდუქციის მიყიდვას. სარჩელი 2019 წელს არ დააკმაყოფილა თბილისის სამოქალაქო სასამართლომ, რის შემდეგაც აღნიშნული საქმე წარედგინა სააპელაციო სასამართლოს საქმეთა პალატას და მიმდინარე პერიოდისთვის არის აქტიური.

18. სამართლიანი ღირებულება და რისკების მართვა

(ა) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია მაქსიმალურად ზუსტი ფასის განსაზღვრა, რომელიც მიღებული იქნება აქტივის გაყიდვისგან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისას. თუმცა, შეფასების სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას. კომპანიამ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განსაზღვრა შეფასების მეთოდის გამოყენებით. შეფასების მეთოდის მიზანია სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს ფასს, რომელიც მიღებული იქნება აქტივის რეალიზაციიდან ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის ნორმალური ოპერაციების ფარგლებში შეფასების თარიღით. შეფასების გამოყენებული მეთოდია დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელი. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლა ხდება მომავალი ძირითადი და საპროცენტო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, დისკონტირებული ანგარიშგების თარიღისთვის არსებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები არ განსხვავდება მათი რეალური ღირებულებებისგან.

(ბ) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდურობის რისკი: რისკი, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

- საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის ორ კომპონენტს:
 - საპროცენტო რისკი
 - სავალუტო რისკი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული და ფულის ექვივალენტები	1,703,288	2,221,710
სავაჭრო მოთხოვნები	9,167	252,231
სულ ფინანსური აქტივები	1,712,455	2,473,941
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,480,284	1,539,327
სესხები	5,356,324	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,836,608	1,539,327

რისკების მართვის სტრუქტურა

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად, ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად. კომპანიის საოპერაციო სიმარტივიდან გამომდინარე, არ არსებობს წერილობითი პოლიტიკა საერთო რისკის მართვის შესახებ.

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული და ფულის ექვივალენტები	1,703,288	2,221,710
სავაჭრო მოთხოვნები	9,167	252,231
სულ ფინანსური აქტივები	1,712,455	2,473,941

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში. კომპანიის მაქსიმალური ზემოქმედება საკრედიტო რისკზე, ძირითადად, აისახება ბალანსზე არსებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში.

კომპანიის ყველა ფინანსური აქტივი ფინანსურ ანგარიშგებაში, კლასიფიცირებულია 1 დონეში, 2022 წლის დასაწყისში და ბოლოს.

2022				
სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის:				
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	1,703,288			1,703,288
სავაჭრო მოთხოვნები	9,167			9,167
სულ ფინანსური აქტივები	1,712,455			1,712,455
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,480,284			1,480,284
სესხები	5,356,324			5,356,324
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,836,608			6,836,608

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

	2021			
	სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის:			
	დონე 1	დონე 2	დონე 3	სულ
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	2,221,710			2,221,710
სავაჭრო მოთხოვნები	252,231			252,231
სულ ფინანსური აქტივები	2,473,941			2,473,941

ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,539,327	-	-	1,539,327
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,539,327	-	-	1,539,327

რაც შეეხება სავაჭრო დებიტორულ დავალიანებებს, კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას დაფუძნებულია ვადაგადაცილებულ დღეებზე. კომპანიას აქვს ხუთი ვადაგადაცილებული დიაპაზონი: 30 დღეზე ნაკლები, 31-60 დღე, 61-90 დღე, 91-180 დღე და 180 დღეზე მეტი. ECL პროცენტი ეფუძნება კომპანიის საოპერაციო სექტორს და წინა გამოცდილებას. საკრედიტო ზარალის სავარაუდო ცხრილი წარმოდგენილია ქვემოთ:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31-60	61-90	91-180	>180
ECL პროცენტი	2%	5%	25%	50%	100%

ზარალის რეზერვები შეფასდება რომელიმე შემდეგ საფუძველზე: ა) 12 თვიანი ECL - თუ ფინანსურ ინსტრუმენტზე საკრედიტო რისკი არ გაიზარდა საგრძნობლად თავდაპირველი აღიარების შემდეგ ბ) უვადო ECL - თუ საკრედიტო რისკი ამ ფინანსურ ინსტრუმენტზე მნიშვნელოვნად გაიზარდა პირველადი აღიარებიდან.

იმის გათვალისწინებით, რომ საკრედიტო რისკი არ არის მნიშვნელოვნად გაზრდილი თავდაპირველი აღიარების შემდეგ, კომპანიამ გამოიყენა 12 თვიანი ECL ინვესტიციისთვის, რომელიც ინახება დაფარვამდე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ლიკვიდურობის ცხრილი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	1,703,288	-	-	1,703,288
სავაჭრო მოთხოვნები	9,167	-	-	9,167
სულ ფინანსური აქტივები	1,712,455	-	-	1,712,455
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(1,480,284)	-	-	(1,480,284)
სესხები	(5,356,324)	-	-	(5,356,324)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(6,836,608)	-	-	(6,836,608)
ლიკვიდურობის პოზიცია	(5,124,153)	-	-	(5,124,153)

ლიკვიდურობის ცხრილი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	1 წელზე ნაკლები	1 დან 5 წლამდე	5 და მეტი ვადით	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	2,221,710	-	-	2,221,710
სავაჭრო მოთხოვნები	252,231	-	-	252,231
სულ ფინანსური აქტივები	2,473,941	-	-	2,473,941
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,539,327	-	-	(1,539,327)
სულ ფინანსური ვალდებულებები	(1,539,327)	-	-	(1,539,327)
ლიკვიდურობის პოზიცია	934,614	-	-	934,614

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკუროს სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკუროს სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკი უმნიშვნელოა.

ალუტის რისკის გათვალისწინებით, მენეჯმენტი განსაზღვრავს შეზღუდვას ვალუტის ზემოქმედების დონის მიხედვით და მთლიანობაში. კომპანიის უცხოური ვალუტის რისკის განფენილობა იყო შემდეგი:

31 დეკემბერი 2022	ლარი	დოლარი	სულ
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	298	1,702,990	1,703,288
სავაჭრო მოთხოვნები	9,167	-	9,167
სულ ფინანსური აქტივები	9,465	1,702,990	1,712,455

31 დეკემბერი 2021	ლარი	დოლარი	სულ
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	5,198	2,216,512	2,221,710
სავაჭრო მოთხოვნები	252,231	-	252,231
სულ ფინანსური აქტივები	257,429	2,216,512	2,473,941

შესაბამისი ვალუტის 10%-იანი გამყარება/გაუფასურებით გამოწვეული ეფექტი კომპანიის წმინდა მოგებაზე წარმოდგენილია ქვემოთ:

	31 დეკემბერი 2022
	ეფექტი მოგება/ზარალზე
დოლარის 10% -ით გამყარება	170,299
დოლარის 10% -ით გაუფასურება	(170,299)
	31 დეკემბერი 2021
	ეფექტი მოგება/ზარალზე
დოლარის 10% -ით გამყარება	221,651
დოლარის 10% -ით გაუფასურება	(221,651)

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს კომპანიის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

19. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარე არის პირი ან საწარმო, დაკავშირებული იმ საწარმოსთან, რომელიც ამზადებს ფინანსურ ანგარიშგებას, კერძოდ:.

საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებული);
- ერთ-ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საწარმო, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 ფინანსური ანგარიშგება
 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
 (ქართულ ლარში)

- ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე მხარის ერთობლივ საწარმოს;
- ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე მხარის ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო იმავე მესამე მხარის მეკავშირე საწარმოა;
- ეს საწარმო არის ან ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე მხარის დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ამგვარი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა;
- ამ საწარმოს აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს (1) პუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (1) (ა) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომელსაც მოცემული საწარმო განეკუთვნება, ანგარიშვალდებულ საწარმოს, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობით მომსახურებას.

დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილი ქვემოთ:

	2022	2021
ვალდებულებები		
სესხები	5,356,324	-
სულ ვალდებულებები	5,356,324	1,106,054

	2022	2021
დარიცხული პროცენტი	311,304	-
სულ დარიცხული პროცენტი	311,304	-

შემდეგი ცხრილი ასახავს ძირითადი მენეჯმენტის კომპენსაციას შესაბამისი პერიოდის განმავლობაში:

მენეჯმენტი	2022	2021
ხელფასები და ბონუსები	77,672	81,660

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2023 წლის განმავლობაში კომპანიის კაპიტალი გაიზარდა 9,154,490 ლარის ქონებით ხოლო შემცირდა 9,154,490 ლარის ქონებით. კომპანიამ მიიღო 1,214,280 ლარის სესხი და გადაიხადა 1,818,008 ლარის სესხი.

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების
ეროვნული ცენტრი“

მმართველობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის წერილი

1. კომპანიის შესახებ	3
2. აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	3
3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის	3
4. კომპანიის განვითარების გეგმები	4
5. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა	4
6. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	4
7. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ	4
8. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია	5
9. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით, კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად	5

1. კომპანიის შესახებ

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 1995 წლის 23 მაისს საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია - ქავთარაძის ქუჩა N21, თბილისი, საქართველო.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მმართველი არის შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“, რომლის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს იზოტოპების წარმოება. დამატებით, კომპანია ახორციელებს ანალიტიკურ მომსახურებას, რომელიც გულისხმობს შუალედურ და მზა პროდუქტში იზოტოპური შემადგენლობის განსაზღვრას მას-სპექტრომეტრული მეთოდით. ცენტრის მიერ წარმოებული პროდუქციის და სერვისების მომხმარებლები ძირითადად მედიცინის, ბირთვული ტექნოლოგიების, მიკროელექტრონიკის და სოფლის მეურნეობის სეგმენტის წარმომადგენლები არიან.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის დირექტორი არის ვახტანგ ბეთლემიძე.

2. აუცილებელი ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 2021 და 2022 წლებისთვის წარმოდგენილ ქვემოთ ცხრილში:

ფინანსური კოეფიციენტები	2021	2022
წმინდა მოგება / შემოსავალი * 100 (Gross Profit Margin)	79%	243%
წმინდა მოგება (ზარალი) / სულ აქტივები (ROA)	13%	60%
მიმდინარე აქტივები / მიმდინარე ვალდებულებები (Current Ratio)	480	86
ფული და ფულის ეკვივალენტები / მიმდინარე ვალდებულებები (Cash Ratio)	144	28

3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელია აუდიტორის მე-3 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში, კომპანიის ხელმძღვანელობისა და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც შესაბამისია მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან და თანხვედრილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ და 2023 წლის 24 ნოემბერს დამტკიცებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან.

4. კომპანიის განვითარების გეგმები

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“ არის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი იურიდიული მისამართია თბილისი, საქართველო ქავთარაძის 46.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქიმიური წარმოება.

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებსაც გააჩნიათ განვითარებადი ბაზრის მახასიათებლები. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ ურიდიულ პირებს.

კომპანია განთავსებულია 4565 კვ.მ მიწის ფართობზე. ვაწარმოებთ ბორ ნახშირბადის კაჟმს და ასევე ვეწევით ანალიტიკურ მომსახურებას სხვა კომპანიებთან.

5. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, დიდი კონკურენციის პირობებში მიმდინარეობს და შესაბამისად, კომპანია განვითარების მუდმივ პროცესშია. დღევანდელი მდგომარეობით, კომპანიას გააჩნია საკუთარი ნიშა და კონკრეტულ სეგმენტზე ორიენტირებული. სამომავლოდ იგეგმება ამ კონკრეტულ სეგმენტზე ოპერირების კიდევ უფრო მეტად გამყარება და გაფართოება.

კომპანია გეგმავს ახალი დანადგარის შექმნას და საკუთარი პროდუქციის წარმოებას.

6. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები.

7. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, კომპანიაზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკიარის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ დგას მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რომელმაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვადა კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება შეიცვლება საკუროს სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის განფენილობა საკუროს სხვაობის განაკვეთების ცვლილების რისკის მიმართ, ძირითადად, უკავშირდება აშშ დოლარში დენომინირებულ ფინანსურ ვალდებულებებს.

კომპანიას არ აქვს აქტივებისა და ვალდებულებების დიდი მოცულობის ნაშთები უცხოურ ვალუტაში. შესაბამისად, არ დგას სავალუტო რისკის წინაშე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა, განსაზღვროს კომპანიის რაოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

8. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანია არ ვაჭრობს საკუთარი აქციებით.

9. ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით, კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად

კომპანიის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება კომპანიის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

კომპანიის რისკის მართვის პოლიტიკა განისაზღვრება კომპანიაზე რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზის მიზნით, რისკის შესაბამისი ფარგლებისა და საკონტროლო მექანიზმების დასადგენად,

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით, კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესახამისად (გაგრძელება)

ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს კომპანიის საქმიანობა, როგორც ფინანსური, ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად, დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონურად.

ვახტანგ ბეთლემიძე
გენერალური დირექტორი

ირინა ჩაგელიშვილი
ბუღალტერი

თარიღი: 1 დეკემბერი , 2023

ინფორმაცია ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით, კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად (გაგრძელება)

ასევე რისკისა და მისი ფარგლების მონიტორინგისათვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

დოკუმენტში ასახულია ყველა ის ძირითადი მომენტი, რომელიც საშუალებას მისცემს მის მკითხველს მაქსიმალური ობიექტურობით განსაზღვროს კომპანიის საქმიანობა, როგორც ფინანსური, ასევე მენეჯმენტის კუთხით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მმართველობის ანგარიშგების სახელმძღვანელოს მოთხოვნის თანახმად, დოკუმენტი შეძლებისდაგვარად ლაკონურად.


ვახტანგ ჯეფთელაშვილი
გენერალური დირექტორი



ირინა ჩაგელიშვილი
ბუღალტერი

თარიღი: 1 დეკემბერი , 2023

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრის“ მფლობელს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლით საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“).

მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიშგება საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიშგება არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშგებების შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განვიხორციელება რაიმე სახის მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრის“ (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ გამოვთქვით „უარი მოსაზრების გამოთქმაზე“, რომელიც თარიღდება „2023 წლის 24 ნოემბერით“.

„უარი მოსაზრების გამოთქმაზე“ განმარტავს, რომ აუდიტორმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები მოსაზრების გამოსათქმელად ერთიან ფინანსურ ანგარიშგებაზე. ვინაიდან ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობითი ანგარიშგება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არ გამოვთქვამთ სხვა სახის მარწმუნებელ მოსაზრებას მასზე, დაინტერესებულ მხარეებს მოვუწოდებთ საფუძვლიანად შეაფასონ აუდიტორის მიერ მოსაზრებაზე უარის თქმის ძირითადი მიზეზები.

2023 წლის 1 დეკემბერი

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: ალი მურტუა

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრის“ მფლობელს

ჩვენ ჩავატარეთ თანდართული 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლით საანგარიშგებო პერიოდის მმართველობის ანგარიშგების მიმოხილვა, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშების და აუდიტის შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად (შემდგომში - „საკანონმდებლო მოთხოვნები“).

მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და მის შესაბამისობაზე საკანონმდებლო მოთხოვნებთან პასუხისმგებელია კომპანიის მენეჯმენტი, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობის ანგარიშგება და გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შესაბამისობაშია მმართველობის ანგარიშგება საკანონმდებლო მოთხოვნებთან და რამდენად თანხვედრილია 2022 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან. იმ შემთხვევაში თუ მმართველობის ანგარიშგება არ არის შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან და თანხვედრილი ფინანსურ ანგარიშგებასთან ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ განვაცხადოთ ამის შესახებ გამოცემულ დასკვნაში. ჩვენს მიერ შესრულებული სამუშაო შემოიფარგლება მხოლოდ: კომპანიის ხელმძღვანელობის და პერსონალის გამოკითხვით, ანალიტიკური პროცედურების ჩატარებით, მმართველობის და ფინანსური ანგარიშგებების შედარებით და თანხვედრილობის განსაზღვრით, და იმ დოკუმენტების მიმოხილვით რაც მომზადდა იმისთვის, რომ კომპანია ყოფილიყო შესაბამისობაში საკანონმდებლო მოთხოვნებთან. ჩვენ არ განგვიხორციელება რაიმე სახის მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი კონტროლის სისტემის სპეციალური მიმოხილვა, და არ გამოვთქვამთ რაიმე სახის მოსაზრებას მმართველობის ანგარიშგების მოსამზადებლად დანერგილი შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ჩვენი ჩატარებული მიმოხილვის საფუძველზე, ჩვენი ყურადღება არ მიუქცევია ფაქტებს რაც დაგვარწმუნებდა, რომ მმართველობის ანგარიშგება არ არის თანხვედრილი აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან არ არის შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტის მოთხოვნებთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სხვა გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ჩვენ ჩავატარეთ შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრის“ (შემდგომში კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ გამოვთქვით „უარი მოსაზრების გამოთქმაზე“, რომელიც თარიღდება „2023 წლის 24 ნოემბრით“.

„უარი მოსაზრების გამოთქმაზე“ განმარტავს, რომ აუდიტორმა ვერ მოიპოვა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები მოსაზრების გამოსათქმელად ერთიან ფინანსურ ანგარიშგებაზე. ვინაიდან ჩვენი პასუხისმგებლობაა მიმოვიხილოთ მმართველობითი ანგარიშგება საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არ გამოვთქვამთ სხვა სახის მარწმუნებელ მოსაზრებას მასზე, დაინტერესებულ მხარეებს მოვუწოდებთ საფუძვლიანად შეაფასონ აუდიტორის მიერ მოსაზრებაზე უარის თქმის ძირითადი მიზეზები.

2023 წლის 1 დეკემბერი

შპს „არესემ საქართველოს“ სახელით

გარიგების პარტნიორი: ალი მურტბა

ინგლისური ორიგინალის თარგმანი

RSM Georgia
